აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№117 (24.997) ხუთშაბათი, 27 - 28 ოქტომბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მაღალ მთაში - თოვლ-ჭყაპი, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 13-18, მთაში - 5-10 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 766 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების განვითარებისთვის 15 მილიონი ევრო გამოიყოფა

ბათუმში ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების განვითარებისთვის 15 მილიონი ევრო დაიხარჯება. შეღავათიანი სესხის გამოყოფის საკითხსა და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე იმსჯელეს ბათუმის მერიაში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და პროექტის „მდგრადი ურბანული მობილობა ქალაქ ბათუმში“ მენეჯერი რობერტ როთი ესწრებოდნენ

ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის დანერგვის მიზანია ქალაქის საცობებისგან განტვირთვა, მუნიციპალური ტრანსპორტისთვის უპირატესობის მინიჭება და ჰაერის დაბინძურების შემცირება. პროექტი გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით განხორციელდება.

შეხვედრაზე დაიგეგმა სატრანსპორტო მობილობის ტექნიკურ-ეკონომიკური დეტალური კვლევა, რომელშიც ასახული იქნება განსახორციელებელი ღონისძიებები.

არჩილ ჩიქოვანის თქმით, ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების ჩამოყალიბება აუცილებელია საცობებისგან განტვირთვისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისთვის. როგორც მან აღნიშნა, იგეგმება საზოგადოებრივი ტრანსპორტის სრულად განახლება და ველოსისტემის განვითარება, ასევე, სატრანსპორტო სისტემების, მათ შორის, შუქნიშნებისა და ტაბლოების კეთილმოწყობა, შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი გარემოსა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

- ჩვენ მივაწოდეთ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს ინფორმაცია, რომ იგეგმება საზოგადოებრივი ტრანსპორტის სრულად განახლება და როგორც სერვისების გაუმჯობესების, ისე სატრანსპორტო სისტემების კეთილმოწყობის ნაწილში, იქნება ეს შუქნიშნები, ტაბლოები თუ შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი გარემოსა და ინფრასტრუქტურის შექმნა, ჩვენ გვექნება მაქსიმალური მხარდაჭერა, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა. მისივე თქმით, აღნიშნული პროექტი კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, რაც მნიშვნელოვანია ბათუმელებისათვის.

- ნაყოფიერი შეხვედრა იყო, რომელიც ძირითადად შეეხო ურბანული ტრანსპორტის განვითარებას ბათუმში. გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, იგეგმება გარკვეული ღონისძიებების გატარება. ძირითადად, ეს ეხება საცობების მართვის სისტემას, ჭკვიანი შუქნიშნების, დეტექტორებისა და სენსორების დამონტაჟებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საცობების განტვირთვას და ქალაქის უკეთ ფუნქციონირებას. გარდა ამისა, ვისაუბრეთ ველობილიკების მოწყობასა და ველოტრანსპორტის უკეთ განვითარებაზე. პროექტის განხორციელებაზე 15 მილიონი ევრო დაიხარჯება, - განაცხადა პროექტის „მდგრადი ურბანული მობილობა ქალაქ ბათუმში“ მენეჯერმა რობერტ როთმა.

შეხვედრას ბათუმის ვიცე-მერი ლევან დავითაძე, KfW-ის წარმომადგენელი იზაბელა აბურაკია და GIZ-ის წარმომადგენელი იან რიკმაიერი ესწრებოდნენ.

ია შველიძე

კრიალოსა N იუსი

პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით უნგრეთში ჩავიდა. ბუდაპეშტის ფერენც ლისტის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს პრემიერ-მინისტრის დახვედრის ცერემონია გაიმართა. პრემიერ-მინისტრს აეროპორტში უნგრეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრი მარტინ ნადი, უნგრეთში საქართველოს ელჩი ზაზა გოგსაძე და საქართველოში უნგრეთის ელჩი ანა შიკო დახვდნენ. ღარიბაშვილი ბუდაპეშტში დელეგაციასთან ერთად იმყოფება. პრემიერი ვიზიტის ფარგლებში შეხვედრებს მართავს უნგრეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

* * *

პირდაპირ ვაკვირდებით კამპანიას, რომელსაც ეწევა რადიკალური ოპოზიცია, კამპანიას სახელწოდებით - არ მოგვცეთ კანდიდატის სტატუსი, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. მისი თქმით, ეს არის ფართომასშტაბიანი კამპანია იმისთვის, რომ საქართველომ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. „ლოგიკა არის შემდეგი - კანდიდატის სტატუსის მინიჭება ქვეყნისთვის ეს იქნება ხელისუფლების გაძლიერება და ყველაფერი რაც აძლიერებს საქართველოს ხელისუფლებას, მათი გადმოსახედიდან, არის ცუდი, ვინაიდან მათ სურთ ერთადერთი რამ - შეასუსტონ ხელისუფლება, შეასუსტონ ხალხის მიერ არჩეული მთავრობა და რამენაირად, არეულობის გზით, დაიბრუნონ ის აბსოლუტური ძალაუფლება რომელიც წლების წინ ჰქონდათ“, - განაცხადა პაპუაშვილმა.

* * *

მმართველმა გუნდმა სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის გადაწყვეტილება მიიღო, რომლის ძირითადი ამოცანა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა იქნება. ანტიკორუფციული ბიურო ზედამხედველობას გაუწევს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტისა და ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის შესრულებას, ასევე კოორდინაციას გაუწევს სათანდო ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების საქმიანობას. ბიურო ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტისა და უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე.

* * *

ძალიან დიდია რისკი და ალბათობა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ჩააგდოს კანდიდატის სტატუსის მიღების შესაძლებლობა, - განაცხადა პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრმა პაატა მანჯგალაძემ ჯაფარიძე-ვაშაძის ბრიუსელში ვიზიტზე საუბრისას. მისი თქმით, საქართველოსაც შეეძლო მოლდოვის მსგავსად მიეღო კანდიდატის სტატუსი, მაგრამ „ქართული ოცნების“ ლიდერების მიმართ ნდობა ძალიან დაბალია.

მოამზადა
ია შველიძემ

ციკო ფუტკარაძის წარმატება 2

გუშინ კრემლმა სტრატეგიული ბირთვული ძალების წვრთნები დაიწყო 3

«წარმატება ერთგვარი ტვირთიც არის» 6

ახალგაზრდა ფერმერის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასათბურე მეურნეობა 4

«ყოველი დღე რაღაც ახლის დასაწყისშია» 5

სარგებელი თუ რისკი? 7

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ციკო ფუტკარაძის წარმატება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, მისი მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, სპორტის დეპარტამენტის უფროსი ლაშა ჩავლეშვილი, მოადგილე მინდია ქათამაძე საქართველოსა და აჭარის მრავალგზის ჩემპიონს, ევროპის ვიცე-ჩემპიონს, არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულს, მშვილდოსან ციკო ფუტკარაძესა და მის პირად მწვრთნელ თამაზ ფუტკარაძეს შეხვდნენ

ციკო ფუტკარაძემ გერმანიის ქალაქ მიუნჰენში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მშვილდოსნობაში პირველი ადგილი დაისაკუთრა. ამ გამარჯვებით მან ლიცენზიაც მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მშვილდოსანი სასტარტო შედეგით სალიცენზიო ტურნირის პირველი ნომერი იყო. აქ ხუთი ლიცენზიისთვის 13 სპორტსმენი იბრძოდა და მან შეძლო პირველი ადგილის მოპოვება. მეოთხედფინალში ფინელ სპორტსმენს შეხვდა, რომელიც დამატებით გადასროლაში დაამარცხა. შემდეგ ბელგიელს მიუგო ანგარიშით - 6:2, ფინალურ შეხვედრაზე კი აზერბაიჯანელ სპორტსმენს და ევროპის მესამე თამაშების ლიცენზია მოიპოვა.

როგორც მისმა პირადმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, საქართველოს ქალთა ნაკრების მწვრთნელმა თამაზ ფუტკარაძემ გვითხრა, ეს საქართველოდან სპორტის ამ სახეობაში ჯერჯერობით პირველი ლიცენზიაა.

მიუნჰენის შეჯიბრებიდან მეორე დღესვე მშვილდოსანმა მონაწილეობა მიიღო ყაზახეთის საერთაშორისო ტურნირში, სადაც მეორე ადგილი დაიკავა. გაციების გამო შეუძლოდ იყო და ამიტომ ფინალში საუკეთესო შედეგი ვერ დადო, თუმცა მეორე ადგილიც კარგი შედეგია. წელს ციკო ფუტკარაძემ საქართველოს თასის გათამაშებაში პირველი და მესამე ადგილი აიღო.

მომავალ წელს თუ იგი პოლონეთში გამართულ ტურნირზე კარგ შედეგს მოიპოვებს, მშობლების კვალს გააგრძელებს - მონაწილეობას მიიღებს პარიზის ოლიმპიადაში. როგორც თამაზ ფუტკარაძემ აღნიშნა, მათ ყოველთვის გვერდით უდგას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

- ჩვენ დღეს შევხვდით აჭარის მშვილდოსნობის ფედერაციის წარმომადგენელ ციკო ფუტკარაძესა და მის პირად მწვრთნელ თამაზ ფუტკარაძეს, რომელმაც ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა. სამინისტროს აქვს რამდენიმე მიზნობრივი პროგრამა, რომელიც სპორტსმენების შედეგიან ასპარეზობას უწყობს ხელს. მომავალი წლიდან ბევრი სიახლე გვექნება, ერთ-ერთია წარმატებულ სპორტსმენთა სტიპენდიის პროგრამა. ასევე მნიშვნელოვნად იზრდება ბიუჯეტი. ერთობლიობაში ეს ხელს შეუწყობს იმ მაღალი შედეგების კიდევ უფრო გაუმჯობესებას, რითაც ჩვენი რეგიონი ქვეყნის მასშტაბით ლიდერობს და საუკეთესო სპორტული რეგიონის ტიტულს ზედიზედ მესამედ იმსახურებს.

ჩვენი სპორტსმენი უკვე გაემგზავრა თბილისში, ქეთევან ლოსაბერიძის სახელობის თასის ფინალურ შეჯიბრებაზე, ამის შემდეგ ყაზახეთში, ასტანაში მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო ტურნირში. მოგვიანებით კი ჩვენთან ხათუნა ნარიმანიძის სახელობითი ტურნირი ჩატარდება და იქაც იასპარეზებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი ხათუნა ნარიმანიძე და მისი მეუღლე თამაზ ფუტკარაზე ოთხი ოლიმპიადის მონაწილენი არიან. დღეს ხათუნა და მწვრთნელი ნინო დევაძე ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში მომავალ ჩემპიონებს წარმატებით ასწავლიან მშვილდოსნობას.

დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ქედაში „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან და აღმასრულებელ და წარმომადგენლობით სტრუქტურებში დასაქმებულ საჯარო მოხელეებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც გენდერის ექსპერტი მამუკა გაჩეჩილაძე და პროექტის კოორდინატორი თეონა ჩიქოვანი უძღვებოდნენ. შეხვედრის მიზანს ადგილობრივი და საერთაშორისო ვალდებულებების შესახებ ინფორმირებულობა, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებასა და გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში ხელშეწყობა წარმოადგენდა.

შეხვედრა პროექტის „შერჩეულ მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგი და ხელშეწყობა“ ფარგლებში ჩატარდა. მისი მხარდამჭერები „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება არიან.

უწყვეტი წყალმომარაგება – 22 ოჯახისთვის

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

1989 წლის 19 აპრილის ტრაგიკულმა მოვლენამ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანაში ცხოვრების რიტმი დაარღვია. მრავალი ოჯახი განერიდა დამეწყრილ სოფელს და საქართველოს სხვა ტერიტორიებზე საცხოვრისი მოიწყო.

მათ ახალი ქართული სოფელი ააღორძინეს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, რომელსაც დისველი ჰქვია. ბევრიც ადგილზე დარჩა და მამისეულ კერას ეფერება.

ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა წაბლანელებს დახმარებასა და თანადგომას არ აკლებს. ბოლო დროს რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელეს, მათ შორის, ამ სოფლის მცხოვრები 22 ოჯახის 24-საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა.

პროექტის ფარგლებში მოეწყო სასმელი წყლის სათავე ნაგებობა, 2,3 კილომეტრზე წყალსადენის ტრასა გაჭრეს და მილები ჩააწყვეს, წყლის გამანაწილებელი რეზერვუარი გააკეთეს. სამუშაოები ხულოს მერიის დაკვეთით შპს „ტრანს სამეულჯორჯიამ“ შეასრულა. სახელშეკრულებო ღირებულება 18 931 ლარია.

დასრულებული სამუშაოები ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ მონახულა.

- შარშან აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე ეს პრობლემა დღის წესრიგში დადგა. მოსახლეობის მოთხოვნა ყურად ვიღეთ, - გვითხრა ვახტანგ ბერიძემ.

საქართველოში ყველა სიგარეტი ერთნაირი შეფუთვით გაიყიდება

ნანა აბულაძე 577 20 35 90

2022 წლის 31 დეკემბრიდან საქართველოში ამოქმედდება კანონი, რომლის მიხედვითაც ყველა ტიპის თამბაქოს კოლოფი ერთნაირი იქნება. აღნიშნული ცვლილება გულისხმობს თამბაქოს ნაწარმისა და მისი შეფუთვის სტანდარტიზების წესის დამკვიდრებას, რომლის ერთ-ერთი მიზანია თამბაქოს ნაწარმის მიმზიდველობის შემცირება, ასევე, სამედიცინო გაფრთხილების ეფექტიანობისა და თვალსაჩინოების გაზრდა

ცვლილების თანახმად, კოლოფზე დატანილი იქნება ბრენდების სახელები ერთნაირი, სტანდარტული შრიფტით, რათა როგორც გამყიდველს, ისე მომხმარებელს პროდუქტის იდენტიფიცირება არ გაუჭირდეს. ამასთან ერთად, მითითებული უნდა იყოს მწარმოებელი ქვეყანაც. „აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე (კოლოფი, ბლოკი, კონტეინერი და სხვა) და თითოეულ ღერზე ბრენდის, ლოგოს, სასაქონლო ნიშნის ან მისი აღმნიშვნელი სხვა ელემენტის გამოყენება. თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე (კოლოფი, ბლოკი, კონტეინერი და სხვა) ნებისმიერი წარწერა შესრულებული უნდა იყოს ერთიანი, უნიფიცირებული შრიფტით, საქართველოს სახელმწიფო ენაზე და მითითებული უნდა იყოს მწარმოებელი ქვეყანა. ამასთანავე, აკრძალულია ფილტრიან სიგარეტზე, უფილტრო სიგარეტზე, პაპიროსზე, სიგარასა და სიგარილაზე რაიმე სახის წარწერის დატანა“, - წერია კანონპროექტში.

აღნიშნული ცვლილების შეფასება რამდენიმე ადამიანს ვთხოვე:

- მართალი გითხრათ, დიდად ვერ ვხვდები აღნიშნული ცვლილება რა შედეგს გამოიღებს, მწეველი ვარ დიდი ხანია და ჩემთვის ეს არ იქნება დაბრკოლება, მაგრამ ახალგაზრდებისთვის იქნება იყოს ერთგვარი მუხრუჭი, რომ საერთოდ უარი თქვან თამბაქოს მოხმარებაზე, - გვითხრა გიორგი რიჟვაძემ. ცვლილებას მიესალმება ნატა ბერიძეც. მისი თქმით, აღნიშნული აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

- თავდაპირველად დიდ ცვლილებებს ვერ გამოიწვევს, მაგრამ ხანგრძლივ პერსპექტივაშიც რომ იმუშაოს ამ კანონმა, ესეც ძალიან კარგია. აუცილებლად უნდა გავუწიოთ პოპულარიზაცია ჯანსაღი ცხოვრების წესს და ყველა ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ განსაკუთრებით მათ ვინც ჯერ არ ეწევა სიგარეტს, მივაწოდოთ ინფორმაცია თამბაქოს შესაძლო ზიანზე, იმაზე, რომ მოწევა უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, - გვითხრა ნატა ბერიძემ.

იაგო მიქელაძის ხსოვნას პატივი მიაგეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული იაგო მიქელაძე ოქტომბერში 46 წლის გახდებოდა. შვილის ნაადრევად დაღუპვას გადაჰყვა იაგოს მამა შალვა მიქელაძე. დედა ეთერ დავითაძე-მიქელაძე, ძმები გოჩა და გელა მიქელაძეები მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ყველაფერს აკეთებენ.

იაგო მიქელაძის გმირულ თავდადებას არც თანამებრძოლები და შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ივიწყებენ. მისი დაბადების დღის აღსანიშნავად შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მირიან აბაშიძე, მოადგილე რუსუდან შავაძე ბუთურაულში იმყოფებოდნენ. მათ იაგო მიქელაძის საფლავი ყვავილებით შეამკეს.

- ჩემი შვილი საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლას შეეწირა. იგი ომის წინა ხაზზე იბრძოდა, 8 აგვისტოს მძიმედ დაიჭრა. მისი ძლიერი სხეული 16 დღის განმავლობაში სიკვდილს ებრძოდა, მაგრამ მძიმე ჭრილობამ თავისი გაიტანა. იაგო ჩემთვის მუდამ ცოცხალია. მადლობა ყველას, რომ მის ხსოვნას პატივს მიაგებენ, - გვითხრა ეთერ დავითაძემ.

იაგო მიქელაძე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ 2023 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ცნობით, გუშინწინ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა 9 საკითხი განიხილეს.

მთავრობის წევრებმა ასევე იმსჯელეს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. კანონპროექტის საფუძველზე, 1 ნოემბრიდან, სამედიცინო დაწესებულებებში, მომსახურების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების ახალი მოდელი ამოქმედდება. DRG მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ აპრობირებული დაფინანსების მოდელია, რომლითაც ავტომატურად გამოითვლება ის სამართლიანი ფასი, რასაც სამინისტრო მოქალაქეების ხარისხიანი მკურნალობისთვის გადაიხდის. დაფინანსების მოცულობას პაციენტის დიაგნოზი, ასაკი, ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა და სხვა კრიტერიუმები განსაზღვრავს. DRG სისტემის დანერგვის შემდეგ, სამედიცინო მომსახურების მიღებისას, პაციენტს დამატებითი ხარჯების გაწევა აღარ მოუწევს. იგი მხოლოდ იმ თანხას გადაიხდის, რასაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თანაგადახდის წილი ითვალისწინებს.

მთავრობის სხდომაზე მინისტრთა კაბინეტის წევრებმა ასევე განიხილეს საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო საქართველოში შემოსულ უკრაინის მოქალაქეთა და უკრაინაში მუდმივი ცხოვრების უფლების მქონე პირთათვის სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 13 ივლისის განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. ცვლილებების მიხედვით, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, საქართველოში შემოსული უკრაინის მოქალაქეთა და უკრაინაში მუდმივი ცხოვრების უფლების მქონე პირთა შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე გრძელდება და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მათთვის სოციალურ-ეკონომიკური დახმარება 2023 წლის 1 მაისამდე გაგრძელდება.

სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა ვრცელდება 2022 წლის 1 თებერვლის შემდგომ, საქართველოში შემოსულ უკრაინელ მოქალაქეებსა და უკრაინაში მუდმივად ცხოვრების უფლების მქონე პირებზე, რომლებიც მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო ვერ ახერხებენ უკრაინაში დაბრუნებას.

სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა მოიცავს ფულად გასაცემელს როგორც საცხოვრებლის, ისე საარსებო პირობების უზრუნველყოფისთვის.

მთავრობის წევრებმა განიხილეს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები „ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“, ასევე „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

აღნიშნული სამოქმედო გეგმების საფუძველზე, საქართველოს მთავრობა, პარტნიორ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს ყველა საჭირო ღონისძიებას, რომ მოხდეს გენდერული თანასწორობის განმტკიცება ურთიერთობის ყველა სფეროში, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია, ეფექტიანი რეაგირება და მსხვერპლის ინტერესებზე მორგებული სერვისების მიწოდება.

აღნიშნული გეგმები გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით და მათი ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა და პროცესში ყველა შესაბამისი საჯარო უწყება, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები მონაწილეობდნენ, გუშინ კი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით უნგრეთში გაემგზავრა.

ვიზიტის ფარგლებში, მთავრობის მეთაური უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მაღალი დონის შეხვედრებს გამართავს, ასევე სამთავრობოთაშორისო ეკონომიკური კომისია შედგება.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს, ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე არიან.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲙᲠᲔᲛᲚᲛᲐ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲕᲠᲗᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

26 ოქტომბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მონაწილეობდა სტრატეგიული შეკავების ძალების წვრთნაში, რომელიც ამ პროცესს სიტუაციური ცენტრიდან აკვირდებოდა.

შოიგუს მოხსენებაში, რომლითაც იგი ვლადიმერ პუტინს მიმართავს, წერია: „რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სასწავლო გეგმის შესაბამისად, თქვენი ხელმძღვანელობით, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მართვისათვის წვრთნა მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც შემუშავდება დავალებები სტრატეგიული შეტევითი ძალების მიერ მტრის ბირთვული იერიშის საპასუხო მასიური ბირთვული დარტყმისთვის“. რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა ვალერი გერასიმოვმა განაცხადა, რომ წვრთნაში ჩართული იყო სტრატეგიული სარაკეტო ძალების სარაკეტო სისტემა „Ярс“-ი, ჩრდილოეთის ფლოტის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო წყალქვეშა ნავი „Тула“ და ორი რაკეტმზიდი Ту-95МС. ითქვა, რომ რაკეტებმა დანიშნულების ადგილს მიაღწიეს.

ცხადია, რომ რუსმა სამხედროებმა მოწინააღმდეგის თავდასხმის საპასუხო მასირებული ბირთვული დარტყმის განხორციელების შესაძლებლობა დაამუშავეს, ამის შესახებ პირდაპირ განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ.

ცნობილია, რომ კრემლმა სტრატეგიული ბირთვული ძალების წვრთნები „Гром 2022“ უკრაინის წინააღმდეგ ომის პარალელურად დაიწყო.

სტრატეგიული შეკავების ძალების (მათ შორის ჰიპერბგერითი და ბირთვული იარაღის ჩათვლით) უკანასკნელი წვრთნა ბალისტიკური რაკეტების გაშვებით 19 თებერვალს, რუსეთის სრულმასშტაბიან შეჭრამდე 5 დღით ადრე ჩატარდა.

26 ოქტომბერს დაწყებული სწავლება რუსეთის მიერ უკრაინაში ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ დისკუსიის ფონზე მიმდინარეობს. დასავლეთის ქვეყნები მოსკოვს იარაღის გამოყენების მუქარაში ადანაშაულებენ, რასაც რუსეთის ოფიციალური პირები უარყოფენ.

მანამდე ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა, რომ რუსეთისგან მიიღეს ოფიციალური შეტყობინება ყოველწლიური სწავლების შესახებ. პენტაგონის პრესმდივნის, პატრიკ რაიდერის განცხადებით, ამ მხრივ რუსეთი იცავს შეიარაღების კონტროლის და შეტყობინების საერთაშორისო ვალდებულებას. აშშ სწავლებას აქტიურად დააკვირდება.

რუსული მედიასაშუალებების ინფორმაციით, სტრატეგიული ბირთვული ძალების წვრთნები 26-29 ოქტომბერს ჩატარდება ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში და სწავლებისას გამოყენებული იქნება ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტები.

მეორე კვირაა, ნატო ბელგიაში ატარებს წევრი სახელმწიფოების სამხედრო-საჰაერო ძალების სწავლებას Steadfast Noon არასტრატეგიული ბირთვული იარაღის გამოყენებით.

მოამზადა
მარი მიდასელმა

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს არ აქვს ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ მიანიშნებს კრემლის ლიდერის მზადყოფნაზე, გამოიყენოს ბირთვული იარაღი ან ე. წ. ბინძური ბომბი უკრაინის ტერიტორიაზე, - ამის შესახებ პენტაგონის წარმომადგენელმა, გენერალმა პატრიკ რაიდერმა განაცხადა. „ჯერჯერობით არ გვინახავს რაიმე ნიშანი, რომ რუსეთმა გადაწყვიტა ან აპირებს გამოიყენოს ბირთვული იარაღი ან „ბინძური ბომბი“, - აღნიშნა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა. მისივე თქმით, შეერთებული შტატები გააგრძელებს სიტუაციაზე ყურადღებით დაკვირვებას. „რუსეთს შედეგები ექნება როგორც ბირთვული იარაღის, ასევე „ბინძური ბომბის“ გამოყენების შემთხვევაში“, - განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა

* * *

რუსეთმა შეერთებულ შტატებს შეატყობინა, რომ მისი ბირთვული ძალები ყოველწლიური წვრთნების - „გრომის“ ჩატარებას გეგმავენ. „აშშ-ს ეცნობა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს რუსეთის რუტინული წვრთნებია“, - განაცხადა აშშ-ის საჰაერო ძალების პრესსპიკერმა, გენერალმა პატრიკ რაიდერმა. შეერთებული შტატები მოელის, რომ სტრატეგიული ბირთვული ძალების ყოველწლიური წვრთნების დროს რუსეთი რაკეტების სატესტო გაშვებას განახორციელებს. ამერიკელი ოფიციალური პირები განმარტავენ, რომ რუსეთი ვალდებულია, წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია ასეთი რაკეტების გაშვების შესახებ.

* * *

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა რომის პაპ ფრანცისკეს სთხოვა, მოუწოდოს ვლადიმერ პუტინს, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქ კირილს და აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენს, უკრაინაში „სამშვიდობო პროცესს ხელი შეუწყონ“. „მე მოვუწოდე რომის პაპ ფრანცისკეს, დაურეკოს ვლადიმერ პუტინს და მოსკოვის პატრიარქ კირილს, ასევე ჯო ბაიდენს, - განაცხადა მაკრონმა, - ჩვენ გვჭირდება, რომ შეერთებული შტატები დაჯდეს მოლაპარაკებების მაგიდასთან, რათა ხელი შეუწყოს სამშვიდობო პროცესს უკრაინაში. ჯო ბაიდენს აქვს რეალური ნდობის მქონე ურთიერთობა რომის პაპთან. რომის პაპს შეუძლია მასზე გავლენა მოახდინოს ჰაიტსა და უკრაინაში ამერიკის ჩართულობის განახლებასთან დაკავშირებით“. მანამდე მან ასევე განაცხადა, რომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია საშუალებას აძლევს ქვეყნის ხელისუფლებას, მისით მანიპულირება მოახდინოს უკრაინაში ომის გასამართლებლად და მოუწოდა, წინააღმდეგობა გაუწიოს ასეთ ზეწოლას.

* * *

დიდი ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრი ყოფილი ფინანსთა მინისტრი რიში სუნაკი გახდა. 42 წლის სუნაკი პირველი ფერადკანიანია, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობას უხელმძღვანელებს. ის ასევე ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა ლიდერია ბოლო 200 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. რიში სუნაკს მსოფლიოს ქვეყნების ლიდერებმა მიულოცეს გაპრემიერება. მათ შორის არ არის ვლადიმერ პუტინი. კრემლის პრესსპიკერის განცხადებით, დიდი ბრიტანეთი რუსეთის არამეგობრული ქვეყნების სიაშია.

მოამზადა
ია ᲨᲕᲔᲓᲘᲫᲔ

ახალგაზრდა ფერმერის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასათბურე მეურნეობა

დარინა ბაბაიძე 27 48 93

25 წლის გია ართმელაძე ფერმერია. დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი აგრონომის სპეციალობით. ასევე, აგრარული განათლება აქვს მიღებული თურქეთში. მან უცხოეთში მიღებული ცოდნა გამოიყენა და ქალაქ ბათუმში, ივანე მესხის ქ. 26-ში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საასათბურე მეურნეობა მოაწყო

სასათბურე მეურნეობა მუშაობს ბიოსტრუქტურაზე, აწარმოებენ მარწყვს და ბოსტნეულ კულტურებს. როგორც ახალგაზრდა ფერმერმა გვითხრა, დასახული მიზნისკენ სვლა ადრეული ასაკიდანვე დაიწყო, რაშიც, პირველ რიგში, განათლება დაეხმარა.

- ფერმერობამდე როგორ მიხვედით?

- ფერმერობამდე ვსწავლობდი, განათლებას ვიღებდი. თეორიულ ცოდნასთან ერთად, უცხოეთში მივიღე შესაბამისი პრაქტიკული განათლება. ჩვენთან პრაქტიკულ ნაწილში, ახალ ტექნოლოგიებთან წვდომა ნაკლები იყო. თურქეთში სოფლის მეურნეობა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მოწოდების სიმაღლეზეა.

- სათბურში ბოსტნეულის რომელ კულტურებს აწარმოებთ?

- ყველა კულტურაზე ვმუშაობთ. წლის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში გვაქვს მოსავალი სხვადასხვა კულტურის. 1000 კვმ სათბური 4 სექტორად გვაქვს დაყოფილი.

- პირველად თქვენი გუნდი მარწყვის კულტურით გამოჩნდა ადგილობრივ ბაზარზე, რატომ მაინცდამაინც მარწყვი?

- ჩვენი გუნდის გათვლა იყო, გვეწარმოებინა ის კონკრეტული კულტურა, რომლის სიმცირე იყო ადგილობრივ ბაზარზე ხარისხის თვალსაზრისით. ჩვენ ბაზრის მოთხოვნა გავითვალისწინეთ და გადავწყვიტეთ გვემუშავა ხარისხიან ბიოწარმოების მარწყვზე. გეგმამ გაამართლა, მარწყვის კულტურამ კარგად იმუშავა. პროდუქტზე მოთხოვნა არის, თუმცა ჯერ მასშტაბები არ გაგვიზრდია.

- საქართველოსა და თურქეთის განათლება სოფლის მეურნეობის მიმართულებით თუ განსხვავდება?

- რადიკალურად განსხვავდება. ჩვენთან მხოლოდ თეორიული სწავლის საშუალება გვაქვს, თურქეთში კი თეორიული ცოდნა დამყარებულია პრაქტიკაზე. თუმცა ჩვენ დავნერგეთ თანამედროვე ტექნოლოგიები და ამ სფეროთი დაინტერესებულ პირს თუ აგრარული დარგის სტუდენტებს, შეუძლიათ მოვიდნენ სასათბურე მეურნეობაში და გაეცნონ თანამედროვე ტექნოლოგიებს, შეისწავლონ და პრაქტიკაში გამოიყენონ.

- რომელი ჯიშის მარწყვს აწარმოებთ და რამდენ მოსავალს იღებთ წლის განმავლობაში?

- ვაწარმოებთ ალბიონის ჯიშის მარწყვს. ეს არის ჰიბრიდული ნერგი. წელიწადში 7-ჯერ გვაძლევს მოსავალს.

- ნერგს ადგილზე აწარმოებთ?

- ჩვენ ეს სასათბურე მეურნეობა საერთაშორისო ორგანიზაცია „თიკას“ გრანტით გავაკეთეთ. 20-წლიანი გამოცდილების მქონე თურქულმა კომპანიამ შემოიტანა მარწყვის ის ჯიში, რომელიც გამოცდილია და რომელიც უფრო პრაქტიკული იყო მუშაობის დროს, შემდეგ კი ჩვენ დავიწყეთ წარმოება და ადგილობრივ ბაზარზე ვყიდით ნერგსაც.

- როგორ უნდა შევარჩიოთ მარწყვი და როგორ გავიგოთ მისი ვარგისიანობა?

- მარწყვის შეფუთვაზე არ უნდა იყოს მისგან გამოდენილი წვენი ან წყალი. ხარისხიანი მარწყვი არის მკვრივი, ჩვენს სასათბურე დანადგარებს ამუშავებს სპეციალური კომპიუტერი, რომელიც ადგენს, თუ რა აკლია მცენარეს. შემუშავებულია ფორმულა იმისთვის, რომ მივიღოთ მკვრივი, ფერში შესული და გემრიელი ნაყოფი. კენკრა ყოველთვის უნდა იყოს მკვრივი, თუ არ იქნება ამას ემატება სპეციალური განათება, გამწოვები, გაგრილების თუ გათბობის სისტემა. თუ გვინდა ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი პროდუქტი, მას შესაბამისი ღირებულებაც ექნება.

- დაავადებების მიმართ თქვენ მიერ წარმოებული მარწყვი რამდენად გამძლე და ამტანია?

- საკმაოდ ამტანია, მაგრამ გვაქვს გამონაკლისი შემთხვევა, როცა დაავადდება მოსავალი. ჩვენი სასათბურე მეურნეობა სპეციალური ბადეებით არის მოწყობილი, რომ მწერებმა არ დააზიანონ, მაგრამ ბათუმის კლიმატიდან გამომდინარე, მეტი ნესტია და ხშირი წვიმა, რაც დაავადებების გაჩენას უწყობს ხელს.

- ამ ეტაპზე რამდენი ადამიანი გყავთ დასაქმებული?

- 8 ადამიანი გვყავს დასაქმებული, თუმცა სეზონზე დასაქმებულთა რიცხვი იცვლება. ბოლო პერიოდში მუშა ხელის ნაკლებობაც არის.

- არსებობს ფერმერთა ხელშეწყობის მრავალი სახელმწიფო პროგრამა. განსაკუთრებით აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს პროგრამები, რომელიმე მათგანი თუ გისარგებლიათ?

- პროგრამაში ვაპირებთ მონაწილეობას. სამაცივრე მეურნეობის მოწყობა გვჭირდება. მიმართვა გვაქვს გაგზავნილი, ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით გვსურს, რომ მზის პანელები განლაგდეს. ვთანამშრომლობთ, ვმეგობრობთ და ასევე ხშირად არიან ჩვენთან სტუმრად სამინისტროდან. აინტერესებთ, როგორ ვითარდება ფერმერი, მათ მიერ შემუშავებული პროგრამების მიზანიც ხომ სწორედ ის არის, რომ სოფლის მეურნეობის დარგი განვითარდეს, სოფლად მცხოვრებმა ადამიანებმა და ფერმერებმა შეძლონ წარმოების განვითარება-გაფართოება და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შეძლოს სოფლად მცხოვრებმა მოსახლეობამ. სამინისტროსა და ფერმერებს შორის ურთიერთობა სულ უფრო ვითარდება.

- თქვენ აღნიშნეთ, რომ მომხმარებელს შეუძლია ადგილზე მოსვლა და თავისი ხელით მარწყვის დაკრეფა.

- ადამიანებს სიამოვნებთ უშუალოდ ამ პროცესში ჩართვა. მოდიან ოჯახებით, მეგობრებით, მოსწონთ ეს აქტივობა. ეს უპირატესობა აქვს ჩვენს სასათბურე მეურნეობას. სტუმრებს ვუქმნით ოჯახურ და სასიამოვნო გარემოს და ამასთან, პროცესიც ვიზუალური თვალსაზრისითაც არის ძალიან ლამაზი. სასათბურე მეურნეობაში რამდენჯერმე გვსტუმრობდნენ ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ადამიანები.

- ყველაზე ხშირად მაინც ვინ გსტუმრობთ?

- სპორტსმენები გვსტუმრობენ, ძირითადად, მოქმედი ჩემპიონი ლაშა გობაძე და ბევრი სხვა, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, თუმცა შეგიძლიათ ჩვენს ინტერნეტგვერდს გადაავლოთ თვალი.

- რას ურჩევთ სტარტაპერებს, ეს რთული გზა, სირთულეების გადალახვა და შრომა ღირს?

- მსოფლიო დგას სოფლის მეურნეობაზე, ასე ვთქვათ, მთავარი მამოძრავებელია ეს დარგი და ვურჩევ ყველას, რომ ჩვენი ქვეყნის ამოუწურავი რესურსები გამოიყენონ სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებისთვის. ამის გამოუყენებლობა, ვფიქრობ, დანაშაულის ტოლფასია. მჯერა, რომ ჩვენი ქვეყანა წარმატებული გახდება, არავითარი პოლიტიკური მიზნებით, უბრალოდ, ჩვენი შრომით, ჩვენი მოღვაწეობით დაგვიფასდება და ვიქნებით წარმატებული ქვეყნის ღირსეული შვილები.

> *„ნებისმიერ აგრონომს და ამ სპეციალობის სტუდენტს სრულიად უფასოდ შეუძლია გაიაროს ჩვენთან პრაქტიკა და ხელშეწყობაც იქნება ცოდნის გაღრმავების თვალსაზრისით, ამასთან დასაქმების კუთხითაც მაქსიმალურად იგრძნობენ თანადგომას. ჩვენთან სტუდენტები მოდიან წლის ნებისმიერ სეზონზე, თუმცა ამას სისტემატური სახე არ ჰქონია. ვფიქრობ, სტუდენტები უნივერსიტეტის დასრულებას ელოდებიან და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებას შემდეგ შეეცდებიან*

- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული დარგის სტუდენტებს თუ შეუძლიათ პრაქტიკული გამოცდილება მიღიონ თქვენს სასათბურე მეურნეობაში?

- დიახ, ნებისმიერ აგრონომს და ამ სპეციალობის სტუდენტს სრულიად უფასოდ შეუძლია გაიაროს ჩვენთან პრაქტიკა და ხელშეწყობაც იქნება ცოდნის გაღრმავების თვალსაზრისით, ამასთან დასაქმების კუთხითაც მაქსიმალურად იგრძნობენ თანადგომას. ჩვენთან სტუდენტები მოდიან წლის ნებისმიერ სეზონზე, თუმცა ამას სისტემატური სახე არ ჰქონია. ვფიქრობ, სტუდენტები უნივერსიტეტის დასრულებას ელოდებიან და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებას შემდეგ შეეცდებიან. მათ ვურჩევდი, მაქსიმალურად გამოიყენონ სტუდენტობის პერიოდი როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნის გასაღრმავებლად.

„თიბისის“ ინოვაციური სერვისი

ბანკი მომხმარებლებს მალე ახალ პროდუქტს - „განაწილებას“ შესთავაზებს. ის საერთაშორისო ბაზარზე ფუნქციონირებს, როგორც BNPL - Buy Now, Pay Later („შეიძინე ახლა, გადაიხადე მოგვიანებით“). „თიბისის“ მომხმარებლებს შეეძლებათ ნივთის შეძენა, მისი ღირებულების 4 თანაბარ ნაწილად გაყოფა, გადახდის გრაფიკის 4 თვეზე განაწილებით შედგენა და გადახდა ყოველგვარი საპროცენტო განაკვეთისა და დამატებითი საკომისიოს გარეშე.

აი, რა იქნება მისი უპირატესობები:

ეფექტური 0% (არ მოიცავს არანაირ დამატებით საკომისიოს) - იხდი ზუსტად იმდენს, რამდენიც ღირს პროდუქტი;

წინასწარ დამტკიცებული ლიმიტი;

ავტომატიზებული პროცესი;

სწრაფი და მარტივი პროცესი ციფრული არხებით, ფილიალში მისვლის გარეშე.

როგორ იქნება შესაძლებელი განაწილების გამოყენება:

„თიბისი“ განაწილებით სარგებლობა ციფრულ ბანკში QR-ის დასკანერებით იქნება შესაძლებელი, რომელიც ტერმინალზე მოთხოვნის შემთხვევაში გამოჩნდება;

QR-ის დასკანერების შემდეგ, ციფრულ ბანკში გამოჩნდება განაწილების ძირითადი პირობები და გადახდის გრაფიკი;

განაწილების პირობების გაცნობისა და ხელშეკრულების დადასტურების შემდეგ, სასურველი პროდუქტი უკვე შენია;

პირველ ეტაპზე პროდუქტით სარგებლობა შეეძლებათ 18 წელს ზემოთ მყოფ პირებს, ვისაც წინასწარ დამტკიცებული ლიმიტი აქვთ;

პროდუქტს ძალიან მალე დაემატება ლიმიტის მოთხოვნის ფუნქციონალი ციფრულ ბანკში და უკვე გადახდილი ტრანზაქციის უკან დაბრუნების შესაძლებლობა.

„თიბისი უკვე 30 წელია, ყოველდღიურად ზრუნავს მომხმარებლის ცხოვრების გამარტივებაზე, - აცხადებს „თიბისის“ გენერალური დირექტორის მოადგილე თორნიკე გოგიჩაიშვილი, - ახალი პროდუქტი - განაწილება სრულ თანხვედრაშია ამ მიზანთან და მაქსიმალურად არის მორგებული

მომხმარებლებზე. მისი მეშვეობით შესაძლებელია, შეიძინო ნივთი აქ და ახლა და გადაიხადო საფასური განაწილებით. არსებული მომსახურებით სარგებლობა მომხმარებელს უკვე 30-მდე ბრენდულ მაღაზიაში შეუძლია. ჩვენი პარტნიორი მაღაზიების რიცხვი დღითი დღე იზრდება, რათა კიდევ უფრო მარტივი გახდეს „თიბისის“ მომხმარებლების ყოველდღიურობა“.

ამირან გურიელიძე

„ყოველი დღე რაღაც ახლის დასაწყისია“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის წარმატებულმა სტუდენტმა, ბათუმელმა თამთა ჯაყელმა ახლახან დაასრულა გაცვლითი პროგრამით სწავლა ლუმსას (რომი) უნივერსიტეტში. ამ პროგრამაში მონაწილეობამ იგი უფრო მიზანმიმართული გახადა, გააძლიერა მისი სულიერი პოტენციალი... როგორი იყო უცხოეთში ყოფნის ერთი წელი, რა შთაბეჭდილებებით დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს, ამის შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ

- მოგვიყევით როგორ სწავლობდით, როგორ ცხოვრობდით ლუმსას უნივერსიტეტში?

- სიმართლე გითხრათ, რეალობამ მოლოდინს გადააჭარბა. სწავლის პერიოდში ვცხოვრობდი რომში, ულამაზეს, მარადიულ ქალაქში. არქიტექტურა, ხალხი, კულინარია, კულტურა, ისტორია ყველაფერი საუცხოოა. ლუმსას უნივერსიტეტი ერთ-ერთი საუკეთესოა რომში, სტუდენტებზე მაქსიმალურად მორგებული. ხალხიც თბილი და ყურადღებიანია, საუკეთესო მოგონებები დამიგროვდა და დიდი სიამოვნებით წავიდოდი ისევ.

- თქვენ გარდა, სხვა ქართველიც თუ სწავლობდა ამ უნივერსიტეტში, ძირითადად რომელი ქვეყნის წარმომადგენლები ჭარბობდნენ?

- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან, რომლის უაღრესად მადლიერი ვარ, 4 სტუდენტი ვიყავით. ცხადია, სხვა უნივერსიტეტებშიც სწავლობენ ქართველები. ლუმსაში, ძირითადად, უნგრელი და ესპანელი სტუდენტები არიან, სხვათა შორის, უკრაინელი კურსელებიც გვყავდა.

- ლუმსას უნივერსიტეტის დამთავრებამ რა შეცვალა შენს ცხოვრებაში, მენტალიტეტში?

- რომში ცხოვრების შემდეგ გავხდი უფრო ლაღი, ბედნიერი, დავაფასე ყოველი წამი. იქ ძალიან ბედნიერი, პოზიტიური ხალხი ცხოვრობს, ყველაფრის მიუხედავად, ცდილობენ ისიამოვნონ ყოველი წამით და დატკბნენ ცხოვრებით. La Dolce Vita (ტკბილი ცხოვრება) და Dolce Far niente (არაფრის კეთების სიტკბო) მათი დევიზია.

- თუ ქართულ და იტალიურ სასწავლო პროცესებს შევადარებთ, როგორი იქნება სურათი?

- იტალიაში არ გვქონდა ყოველკვირეული გამოკითხვები, შუალედური გამოცდები, გვიტარდებოდა ლექციები და იყო მხოლოდ ფინალური შეფასება. ძირითადად, გვასწავლიდნენ ბრიტანეთიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული ლექტორები. ქართული განათლების სისტემა ბევრად უფრო სიღრმისეული და მკაცრია. მე პირადად ძალიან მომწონს ჩემი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, რომელიც მაქსიმალურად არის სტუდენტის ინტერესებზე მორგებული, გვაძლევს სიღრმისეულ ცოდნას. ძირითადად, გვყავს პრაქტიკოსი ლექტორები, რის საფუძველზეც სწავლა მიმდინარეობს დატვირთულ და აქტიურ რეჟიმში. გაცვლითი პროგრამებიც მრავლად არის. ბედნიერი ვარ, რომ ამ უნივერსიტეტის სტუდენტი მქვია და აქ სწავლა ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილებაა.

- იტალიელებზე ზემოთაც მაინც ისაუბრე, მაგრამ მინდა გკითხო, მათი ცხოვრების წესზე, რომზეც, რა თქმა უნდა, მარადიული ქალაქი შენი თვალით...

- იტალიაზე და იტალიელებზე საუბრით არასდროს დავიღლები, ჩემზე წარუშლელი კვალი დატოვეს. მიყვარს იტალია და იქაური ხალხი, თავი უცხოდ არასდროს მიგრძნია. არიან მეგობრულები, მხიარულები, ყურადღებიანები, უზომოდ ენერგიულები. რომი, მართლაც, მარადიული ქალაქია. მისი ულამაზესი არქიტექტურით გაოცებას საზღვარი არა აქვს. ყოველდღიურად რაღაც ახლის აღმოჩენაში ვიყავით. იტალიური კულინარიაც გამორჩეულია. ძალიან მენატრება იქაური ატმოსფერო, ცხოვრების სტილი.

- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტი ხართ, ჩვენთან წინა ინტერვიუში ისაუბრეთ თქვენს მიზნებზე მათ ასრულებასთან ახლოს ხართ?

- ყოველი გადადგმული ნაბიჯი მიზნების მიღწევასთან მაახლოებს, რაშიც მაქსიმალურად მიწყობს ხელს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი. ნებისმიერ აბიტურიენტს თუ სტუდენტს თამამად და დაუფიქრებლად ვურჩევ, რომ ჩააბარონ ამ უნივერსიტეტში, სადაც სტუდენტები მიიღებენ საუკეთესო განათლებას. ყოველდღიურად გვემატება გაცვლითი პროგრამები და ნებისმიერ მონდომებულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, გამოსცადოს უცხოეთში სწავლის სიამოვნება.

- როგორია იტალიელი სტუდენტების და საერთოდ იტალიელების დამოკიდებულება უკრაინისადმი?

- სიმართლე გითხრათ, იქ იმდენად არ იგრძნობოდა ომის მსვლელობის სიმწვავე. მართალია, განიცდიდნენ, თუმცა არა ისე, როგორც თუნდაც საქართველოში. ეს, რა თქმა უნდა, ისტორიის კონტექსტიდანაც გამომდინარეობს. სხვათა შორის, რომში ქართველი ემიგრანტები უფრო აწყობდნენ მსვლელობებს ომის წინააღმდეგ, ვიდრე ადგილობრივები. ასევე ქართველმა ემიგრანტებმა მოაგროვეს პირველადი დახმარების ნივთები, თანხა და გააგზავნეს უკრაინაში. კოლიზეუმი ენთო უკრაინის ფერებში, ასევე - მეტროც. როგორც უკვე აღვნიშნე, უკრაინელი კურსელებიც გვყავდა და მაქსიმალური მხარდაჭერას ვაგრძნობინებდით მთელი კურსი.

- ამბობენ, რომ ყოველი კარგი წიგნის წაკითხვის შემდეგ უკეთესდები და ჭკვიანები ვხვდებით, თქვენც ასე ფიქრობთ?

- წიგნის არა მხოლოდ წაკითხვა, არამედ გაგებაა მნიშვნელოვანი. ვფიქრობ, რომ წიგნი გეხმარება რაღაცების უკეთ გააზრებასა და გადაფასებაში. ჩემთვის, მაგალითად, ცნება კარგი წიგნი არ არსებობს. შეიძლება რაღაც წიგნი ჩემთვის იყოს საინტერესო, თუმცა სხვისთვის არაფრის მომცემი, ეს დამოკიდებულია კონკრეტულად პიროვნების ინტერესებსა და აღქმაზე. ყველა ინდივიდუალურები ვართ და სხვადასხვაგვარად ვიგებთ წიგნის შინაარსს.

- ადამიანი რომ ბედნიერი იყოს, როგორ ფიქრობთ, რა არის ამისთვის აუცილებელი, ხართ ბედნიერი?

- ჩემი აზრით, ბედნიერება ინდივიდუალურია და ასე, ზოგადად, ვერ დავასახელებ ბედნიერების კრიტერიუმს, ყველას აქვს თავისი ბედნიერების საზომი. მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ, ირგვლივ მყავს საყვარელი ადამიანები, მაქვს მიზნები, ვშრომობ, არ ვტკეპნი ერთ ადგილს, არ ვცურავ დინების მიმართულებით, ყოველი დღე რაღაც ახლის დასაწყისია, არ ვუშინდები სირთულეებს, მიყვარს ცხოვრება და ვცდილობ მაქსიმალური მივიღო მისგან.

- შემდგარი, რეალიზებული პიროვნება როგორ გესახებათ, რა არის პიროვნული სიძლიერის ბარომეტრი?

- სირთულეების გარეშე არ არსებობს ცხოვრება, უნდა იყო ძლიერი, არ შეუშინდე ცხოვრებისეულ გამოწვევებს. აუცილებლად უნდა გქონდეს მიზანი, რისკენაც ისწრაფვი და მზად უნდა იყო ყველა წინაღობის გადასალახავად.

- მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ. ამ შეკითხვით რომ მოგმართოთ, როგორ უპასუხებთ?

- გადაჭრით ვერც ამ შემთხვევაში ვიტყვი, რომ 100%-იანი ჭეშმარიტებაა. რთულია მეგობრებით იმსჯელო ადამიანის პიროვნებაზე. შეიძლება ჩემს მეგობარში მე ვხედავდე და ვაფასებდე იმას, რაც სხვისთვის შეუმჩნეველი ან უმნიშვნელოა.

- რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით ხვიჩა კვარაცხელიას, რომელიც ნეაპოლელთა კერპი გახდა... იტალიელები როგორ მოიხსენიებენ მას, თქვენ თუ ხართ ფეხბურთის მოყვარული?

- მოგეხსენებათ, რომ იტალიაში ფეხბურთის კულტურა უმაღლეს დონეზეა, საუცხოო გულშემატკივრობა ახასიათებთ. როდესაც „რომა“ თამაშობდა, ქალაქში მუხტი იწევდა, ყველა მაგას განიხილავდა. მოგების თუ წაგების მიუხედავად ქალაქი ზეიმობდა. სტადიონთან ახლოს ცხოვრების ბედნიერება მქონდა და თამაშების შემდეგ, გულშემატკივრები რომ მხიარულობდნენ და გამარჯვებას ზეიმობდნენ, მე ბათუმის „დინამოს“ თამაშები მახსენდებოდა. „პირატების“ მსგავსად, აქაური გულშემატკივრებიც ხარობდნენ და ზეიმობდნენ, საუცხოო სანახაობა და ატმოსფერო იყო, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. აქამდე თუ საქართველო მხოლოდ ამერიკის შტატი ან რუსეთის საქართველო ეგონათ, უკვე საქართველოს ხსენებაზე იტალიის ნებისმიერ წერტილში, და არა მხოლოდ ნეაპოლში, უკვე კვარაცხელიას საქართველო ვართ. ყველა მასზე ლაპარაკობს და მას განიხილავენ. უდავოდ, უნიჭიერესი ფეხბურთელია.

- დაბოლოს, ხვალინდელი დღე... როგორ გესახება და როგორი გინდა გათენდეს დილა, რომელსაც ელი?

- სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს წარსულზე ფიქრი და მომავლის დაგეგმვა, ვცხოვრობ დღევანდელი დღით და ვცდილობ ყოველი დღიდან მივიღო მაქსიმუმი.

> *„აქამდე თუ საქართველო მხოლოდ ამერიკის შტატი ან რუსეთის საქართველო ეგონათ, უკვე საქართველოს ხსენებაზე იტალიის ნებისმიერ წერტილში, და არა მხოლოდ ნეაპოლში, უკვე კვარაცხელიას საქართველო ვართ. ყველა მასზე ლაპარაკობს და მას განიხილავენ. უდავოდ, უნიჭიერესი ფეხბურთელია*

უკრაინა

რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყებიდან, ეროვნული პოლიციის გამომძიებლებმა რუსი და ბელარუსი სამხედროების მიერ ომის დანაშაულების ჩადენის ფაქტებზე 39 ათასზე მეტი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, - ამის შესახებ შს მინისტრის პირველმა მოადგილე ევგენი ენინმა განაცხადა. მისი თქმით, დონეცკის ოლქში პოლიცია უზრუნველყოფს სტაბილიზაციას და აღადგენს წესრიგს 43 დეოკუპირებულ დასახლებაში, სადაც 5000-ზე მეტი მოქალაქე ცხოვრობს. მუდმივი მუშაობა მიმდინარეობს მოსახლეობასთან, ხორციელდება რუსი აგრესორებისა და მათი თანამშრომლების მიერ ჩადენილი ომის დანაშაულების მტკიცებულებების შეგროვება. „მხოლოდ დონეცკის ოლქში 26 სექტემბრის შემდეგ გამოვლინდა 212-ზე მეტი ადამიანი, რომლებიც მონაწილეობდნენ დივერსიულ საქმიანობაში ან შეიძლება იყვნენ ჩართული ოკუპანტებთან თანამშრომლობაში,“ - აღნიშნა მინისტრის პირველმა მოადგილემ. მისი თქმით, ხარკოვის ოლქში მიმდინარეობს სტაბილიზაციის ღონისძიებები და წესრიგის აღდგენა 227 დასახლებაში. „აქ 2000-ზე მეტი ომის დანაშაული დაფიქსირდა. დააკავეს 29 პირი, რომლებიც შესაძლოა იყვნენ ჩართულნი კოლაბორაციონისტულ საქმიანობაში. ასევე ხერსონის ოლქში 88 პუნქტში განხორციელდა სტაბილიზაციის ღონისძიებები, დეოკუპირებული ტერიტორია 2.5 ათასი კვადრატული კილომეტრია. ამ დროისთვის დოკუმენტირებულია 194 ომის დანაშაული“, - განაცხადა ენინმა.

* * *

ევროკავშირში შესასვლელად რეკომენდაციებს უკრაინა წლის ბოლომდე შეასრულებს. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ გერმანიის პრეზიდენტ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერთან კიევში გამართულ საერთო ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, შტაინმაიერთან შეხვედრაზე მათ უკრაინის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებიც განიხილეს. „უკვე ამ წელს ევროკომისიის ყველა რეკომენდაციას შევასრულებთ, რომლებიც უკრაინის ევროკავშირში წევრობას ეხება“, - განაცხადა ზელენსკიმ. კერძოდ, უკრაინამ შვიდი რეკომენდაცია უნდა შეასრულოს, რომლებიც ეხება საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეთა შერჩევის დაჩქარებას, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის გაგრძელებას, კორუფციასთან და ფულის გათეთრებასთან ბრძოლას, დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის ხელშესახები შედეგების დემონსტრირებას, აუდიოვიზუალური კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციას, ეროვნული უმცირესობების შესახებ კანონის მიღებასა და განხორციელებას და ა.შ. „მიმაჩნია, რომ ეს სამუშაო ევროკავშირმა სათანადოდ უნდა შეაფასოს გაფართოების პოლიტიკის შემდეგი პაკეტის გასაჯაროებამდეც კი“, - აღნიშნა ზელენსკიმ. ცნობისთვის, ევროკომისიამ გაფართოების პოლიტიკის შესახებ ყოველწლიური ანგარიში 2023 წელს უნდა წარადგინოს.

* * *

უკრაინაზე მორიგი სარაკეტო თავდასხმა განხორციელდა. შედეგად, დნიპროში ორი ადამიანი დაიღუპა, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი წერს. მისი თქმით, უკრაინის პასუხი იქნება სამართლიანი და გარდაუვალი. „ყოველდღე ვებრძვით ტერორისტებს. ვინც კლავს მშვიდობიან მოსახლეობას, ბომბავს ქალაქებს, ანადგურებს უკრაინელების სიცოცხლეს და ბედს. დღეს მორიგი სარაკეტო შეტევა განხორციელდა. შედეგად დნიპროში ორი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ორსული. სამი დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. არასდროს ვაპატიებთ. შურისძიება იქნება სამართლიანი და გარდაუვალი“, - აცხადებს პრეზიდენტი. დნიპროზე იერიშის დროს, არსებული ინფორმაციით, ჭურვის ფრაგმენტები ადგილობრივ ბენზინგასამართ სადგურზე ჩამოვარდა და ხანძარი გაჩნდა.

* * *

აშშ-ის მთავრობას უკვე გადაეცა NASAMS-ის საჰაერო თავდაცვის სისტემები, რომლებიც განკუთვნილია უკრაინისთვის, - ამის შესახებ უკრაინული მედია ეფენსე News -ზე დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, მწარმოებელი კომპანია Raytheon Technologies-ის აღმასრულებელმა, დირექტორმა გრეგ ჰეისმა განაცხადა, რომ ორი სისტემა აშშ-ის მთავრობას რამდენიმე კვირის წინ გადაეცა. „ისინი უკრაინაში მალე განთავსდება“, - აღნიშნა გრეგ ჰეისმა. მისი თქმით, NASAMS-ს შეუძლია ჩამოაგდოს ყველაფერი, მათ შორის დრონები, ბალისტიკური რაკეტები და მოიერიშე თვითმფრინავები.

* * *

რუსეთი უკრაინაში საბრძოლველად, სავარაუდოდ, ავღანეთის ეროვნული არმიის კომანდოსის კორპუსის წევრების რეკრუტირებას ახდენს. ამის შესახებ ინფორმაციას Foreign Policy-ი ავრცელებს. მათივე ცნობით, საუბარია იმ მედესანტე-დივერსანტების რეკრუტირებაზე, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო და ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები წვრთნიდნენ. Foreign Policy-ის თანახმად, დაახლოებით 20,000-დან 30,000-მდე მოხალისე მედესანტე-დივერსანტი დარჩა, რომელსაც შეერთებულმა შტატებმა 2021 წლის აგვისტოში ავღანეთი დატოვა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„წარმატება ერთგვარი ტვირთიც არის“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მასწავლებლის კვირეულის დღეებში შუახევში გამართულ საზეიმო შეკრებაზე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა პირველმა გაახმიანა ინფორმაცია მაწყვალთის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ როინ ნაკაიძისთვის მენტორის წოდების მინიჭების შესახებ. ის შუახევის მუნიციპალიტეტში მეოთხე მასწავლებელია, ვისაც საქმიანობა ასე დაუფასდა.

***როინ ნაკაიძე** ჩვენი სტუმარია.*

- მამათქვენი - რაუდენ ნაკაიძე მათემატიკის ცნობილი მასწავლებელი იყო. ზუსტი მეცნიერებისადმი მისწრაფება გენეტიკურად მოგდგამთ თუ...

- შესაძლოა, გენეტიკის დამსახურებაც იყოს. ჩემი შვილების მაგალითზე გეტყვით, რომ ქალიშვილები დედის კვალს გაჰყვნენ, ვაჟი კი ჩემსას.

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრეთ. რა კვალი დატოვა ამ საგანმანათლებლო კერამ თქვენს ცხოვრებაში?

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90-იან წლებში დამთავრება ნამდვილად გმირობის ტოლფასი იყო. ჩვენს თავზე გადაიარა სამოქალაქო ომმა. ბევრი ცნობილი ადამიანი, ვინც დღეს საზოგადოებრივ სარბიელზეა, ჩემი სტუდენტობისდროინდელი მეგობარია. მათ შორის, არაერთი პედაგოგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მუშაობს. გამოცდილების გაზიარება დიდად დამეხმარა ჩემს პროფესიულ განვითარებაში. როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, პედაგოგიური კადრების დიდი დეფიციტი იყო სკოლებში („კუპონების“ დროს ბევრმა მასწავლებელმა დატოვა სკოლა). ჩემი სოფლის სკოლასაც უჭირდა და ყოველგვარი ფიქრის გარეშე დავიწყე პედაგოგად მუშაობა. ვასწავლიდი მათემატიკას, ინფორმატიკას, ქიმიას, ფიზიკას, ასტრონომიას, ხაზვას, ეკონომიკას. იმდროინდელი არჩევანით კმაყოფილი ვარ. წარმატების მიღწევა ყველგან შეიძლება.

- მენტორი მასწავლებლის წოდების მოპოვებამდე შინაარსიანი გზა გამოიარეთ. რას გამოარჩევთ?

- გამოვარჩევ თანამშრომლობას აჭარის განათლების ფონდთან. 2013 წლიდან გავხდი ბათუმის მასწავლებლის სახლის ტრენერი. შემდგომ იყო „მილენიუმის“ პროექტი და ბოლოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობა, რაც დღემდე გრძელდება. ყველაზე მეტად გამოვარჩევდი ჩემს სემინარებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რამაც დადებითი გავლენა იქონია ჩემს პროფესიულ ზრდაზე.

- აქტიურობა არ გაკლიათ. გამოცდილების გაზიარების რა მეთოდებსა და ფორმებს იყენებთ?

- XXI საუკუნე კომპიუტერული ტექნოლოგიების ეპოქაა, ამიტომ ჩემი ყველაზე ეფექტური ხერხი ონლაინრესურსების დამზადება და მათი გამოყენებაა საგაკვეთილო პროცესში. პანდემიის დროს დაწყებული ვიდეოების ჩაწერა შემდგომშიც გავაგრძელე, ისინი განვათავსე იუთუბარხზე. აქტიურად ვიყენებ პროგრამა GeoGebra-ს, სადაც ვქმნი რესურსებს და აქტიურად ვუზიარებ კოლეგებს სოციალურ ქსელში. შექმნილი მაქვს მათემატიკის მასწავლებელთა ჯგუფი, სადაც 14000-მდე ადამიანია გაწევრიანებული და მათ საკუთარ გამოცდილებას აქტიურად ვუზიარებ.

- წოდება, ავტორიტეტი იოლად არ მიიღწევა. ვის ემადლიერებით?

- მენტორი მასწავლებლის წოდება პედაგოგიური საბჭოს წარდგენის საფუძველზე მომენიჭა. რა თქმა უნდა, კოლეგების წვლილი აქ განსაკუთრებულია. მადლობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კომისიის წევრებს, რომლებმაც შეისწავლეს ჩემი საქმიანობა და რეკომენდაცია მომცეს. ასევე, მადლობას ვუხდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განსაკუთრებული წესით მენტორი მასწავლებლის სტატუსის მონიჭებისთვის.

- ერთეული სოფლის სკოლებშია ის მატერიალური ბაზა, რაც მაწყვალთაშია. რა სამსახურს გიწევთ მოწესრიგებული გარემო?

- სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დიდ როლს თამაშობს საგანმანათლებლო პროცესში. ჩვენს სოფელში სკოლის ახალი შენობის აგების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია. სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც საშუალებას გვაძლევს, სასწავლო პროცესი წარვმართოთ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. ყველა კლასში არის ინტერნეტი, რაც ჩვენთვის დიდი ფუფუნებაა. გვაქვს პროექტორები და სხვა საჭირო ტექნიკა, რომლებსაც აქტიურად ვიყენებ სხვადასხვა ონლაინრესურსის ვიზუალიზაციისთვის.

- ეროვნული მათემატიკური სკოლა, ცნობილი მეცნიერები მსოფლიოში თავიანთ სიტყვას ამბობენ. ამ ეტაპზე მათთან რა ურთიერთობები გაქვთ?

- ბოლო დროს სხვადასხვა გზით დავამყარე კავშირები ჩემს ყოფილ ლექტორ-მასწავლებლებთან და მსოფლიოს სხვა ცნობილ მეცნიერებთან. განსაკუთრებით გამოვყოფდი მათემატიკოსთა მე-12 საერთაშორისო კონფერენციას, რომლის მონაწილეც გახლდით - მოხსენებით წარვსდექი. აქ გავიცანი ძალიან ბევრი საინტერესო მათემატიკოსი სხვადასხვა ქვეყნიდან. მონაწილეთაგან გამოვყოფდი 80 წელს გადაცილებულ ჩემს ლექტორ ჰამლეტ მელაძეს, რომელიც აქტიურად მუშაობს გამოყენებითი მათემატიკის მიმართულებით.

- სემინარებზე ლექციების წასაკითხად გიწვევენ. საინტერესოა, მოსწავლეები უკეთ ითვისებენ მასალას თუ პედაგოგები?

- სემინარების, ტრენინგების ან ვორქშოპების ჩატარებისას მასწავლებლების მოტივაცია დიდია, ვინაიდან ისინი თავიანთი ინტერესების მიხედვით რეგისტრირდებიან, მაგრამ საკითხს უფრო სწრაფად მოსწავლეები ითვისებენ. თანამედროვე ბავშვები ციფრულ ეპოქაში ცხოვრობენ, უყვართ კომპიუტერული თამაშები, რაც მათ მრავალ უნარს ავითარებს.

- რომელ კატეგორიასთან მუშაობაა უკეთესი?

- როცა შედეგს იღებ, ეს დიდ სიამოვნებას განიჭებს, მაგრამ თვითკმაყოფილების გრძნობა არასდროს გამჩენია. მიმაჩნია, რომ უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს, ორივე კატეგორიასთან მუშაობა საინტერესო და სასარგებლოა.

- მათემატიკასთან ერთად, ვიცით, მხატვრული ლიტერატურაც გიზიდავთ...

- მხატვრული ლიტერატურა ჩემი ბავშვობისდროინდელი ჰობია. მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ დრო ნაკლები მაქვს, სასკოლო ლიტერატურას ხშირად ვიხსენებ. ჩემი მეუღლე - ზოია ფუტკარაძე ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელია, ქალიშვილი დიანა - სხვადასხვა ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული. ამ დღეებში მონაწილეობა მიიღო ოდესის მე-8 საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში. ბოლო დროს უფრო მეტად ვეცნობი ჩემი ქალიშვილის შემოქმედებას და მეამაყება კიდეც.

- შვილებმა პროფესიული არჩევანი უკვე გააკეთეს?

- ჩემი ვაჟი, გიორგი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტია, კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტზე სწავლობს, ქალიშვილებმა ინგლისური ფილოლოგია აირჩიეს. დიანა სტუდენტია, მარიამმა დაასრულა და დღეს ინგლისურ ენას ასწავლის სკოლაში.

- ადამიანი, რომელმაც თქვენს ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა...

- ჩემს განვითარებაში ყველაზე დიდი წვლილი მშობლებს მიუძღვით. თუ რამ სარგებელი მივიღე ვინმესგან, პირველ რიგში, მათგან.

- მათემატიკის გარდა, რა საგნები გიტაცებდათ?

- მათემატიკის გარდა ჩაბარებული მაქვს კომბინირებული დაწყებითი - I-IV კლასები. ბუნებისმეტყველება მასში შემავალი ერთ-ერთი საგანია. განსაკუთრებით ბუნების შემსწავლელი მეცნიერებები მიტაცებს. თავისუფალ დროს მიყვარს ჭადრაკის თამაში. მოსწავლეობის პერიოდში აჭარის ჩემპიონი ვიყავი და ამ სპორტისადმი სიყვარული ვერაფრით დავთმე.

- მასწავლებელთა ნაწილი სოფელს ტოვებს და ქალაქებში აგრძელებს მუშაობას...

- ადრე დიდი განსხვავება იყო სოფლის და ქალაქის სკოლებს შორის. დღეისთვის პირობები გათანაბრებულია. სასწავლო რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა ქმნის წინაპირობას, რომ მომავალში ეს ტენდეცია შეწყდება.

- თუ გქონიათ სამუშაოდ სხვა სკოლაში გადასვლის შემოთავაზება?

- საქართველოს მრავალ სკოლაშია დღესდღეობით მასწავლებლების დეფიციტი, მრავალიც მოსწავლეთა ნაკლებობას განიცდის. სხვა სკოლაში მუშაობის ერთწლიანი გამოცდილება მაქვს. პროექტით „ასწავლე საქართველოსთვის“ ხულოს ერთ-ერთ სოფელში ვასწავლიდი. ბოლო დროს მაქვს შემოთავაზება, ერთ-ერთ სკოლაში ერთ კლასს ვასწავლო მათემატიკა დისტანციურად. მგონი გამომივა, მით უმეტეს, დიდი გამოცდილება დამიგროვდა ამ მიმართულებით.

- სად უფრო ეფექტიანია პედაგოგისთვის საქმიანობა?

- მუშაობა უფრო კარგად იქ გამოგივა, სადაც მეტად იცნობ მოსწავლეს, მის მშობლებს. კარგად ხედავ ბავშვის საჭიროებებს.

- ამ ეტაპზე სოფლის მასულდგმულებლად სკოლა რჩება, თუმცა მოსწავლეთა კონტინგენტი სულ უფრო მცირდება. მაწყვალთაში რა ვითარებაა?

- სკოლის გარეშე სოფელი არაფერია, რომ არა სკოლა, სოფელი მთლად დაიცლება. ბოლო დროს იკლო შობადობამ. ქალაქად წასული ახალგაზრდები სოფელს აღარ უბრუნდებიან, ამიტომ ყოველწლიურად მცირდება მოსწავლეების რაოდენობა. ამის მიუხედავად, არის შემთხვევები, როცა მშობლებს ურჩევნიათ, შვილებს განათლება სოფლად მიაღებინონ და გადმოჰყავთ სოფელში, რაც მისასალმებელია. ასე სოფელიც იარსებებს და მომავალ თაობას სოფლის სიყვარული ბავშვობიდან ექნება.

-კოლეგებზე რას გვეტყვით?

- მათთან კარგი, მეგობრული დამოკიდებულება მაქვს, ნაწილი ჩემი მოსწავლეა, ბევრიც - თანატოლი. ხშირად ვესწრებით ერთმანეთის გაკვეთილებს და სხვადასხვა რჩევას ვაძლევთ. გვქონდა სამუშაო შეხვედრებიც, რაც კოლეგებს სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში დაეხმარა.

- ოჯახური გარემო გამაგრებთ სოფლად თუ ამ უკანასკნელის სიყვარული?

- სოფლისა და იმ ფუძის სიყვარული, სადაც დავიბადე და გავიზარდე. სკოლა დამატებით საბაბს ქმნის საამისოდ, რომ დავრჩე აქ და თანასოფლელებს გამოვადგე. ვცდილობ, მამაპაპისეულ მიწას მოვუფრთხილდე, უფრო მეტი ხე დავრგო ყოველწლიურად. დაინტერესებული ვარ სხვადასხვა ჯიშის ხეხილის მოშენებით.

- წარმატების მოპოვება სოფელშიც შესაძლებელი ყოფილა. მომავალში რას გააკეთებთ?

- წარმატება ერთგვარი ტვირთიც არის. გინდა, გაამართლო და უფრო მეტი აკეთო, უფრო მეტი რესურსი შექმნა, რომ მეტად გამოადგე კოლეგებსა და მოსწავლეებს.

> ***„** სკოლის გარეშე სოფელი არაფერია, რომ არა სკოლა, სოფელი მთლად დაიცლება. ბოლო დროს იკლო შობადობამ. ქალაქად წასული ახალგაზრდები სოფელს აღარ უბრუნდებიან, ამიტომ ყოველწლიურად მცირდება მოსწავლეების რაოდენობა. ამის მიუხედავად, არის შემთხვევები, როცა მშობლებს ურჩევნიათ, შვილებს განათლება სოფლად მიაღებინონ და გადმოჰყავთ სოფელში, რაც მისასალმებელია*

რუსეთისა და ბელარუსის რამდენი მოქალაქე დარჩა საქართველოში?



პარლამენტისთვის შსს-ის მიერ მიწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ომის დაწყების შემდეგ საქართველოში რუსეთისა და ბელარუსის ათასობით მოქალაქე შემოვიდა, რომლებიც სამშობლოს სხვადასხვა მიზეზით ტოვებენ - სანქციებისთვის თავის ასარიდებლად, პოლიტიკური დევნისგან თავის დასაღწევად და სხვა. მათი სიმრავლე განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ტურისტულ ზონებში.

რუსეთიდან შემომსვლელთა რიცხვი, განსაკუთრებით, მას შემდეგ გაიზარდა, რაც პუტინმა ქვეყანაში მობილიზაცია გამოაცხადა. ამის გამო საქართველოს საზღვართან რუსების რამდენიმეკილომეტრიანი რიგები იყო.

სამოქალაქო საზოგადოება და ოპოზიცია მათ უკონტროლო შემოდინებაში საფრთხეს ხედავს და საზღვრის ჩაკეტვას მოითხოვდა.

ოკუპანტი ქვეყნის მოქალაქეები საქართველოში ირეგისტრირებენ ქონებასა და ბიზნესს, იღებენ მოქალაქეობასაც. საქართველო ჯერ კიდევ არ დაუტოვებია რუსეთის 112 733 მოქალაქეს, ქვეყანაში რჩება ბელარუსის 13 151 მოქალაქეც. ისინი საქართველოში 2022 წლის პირველ იანვარს შემოვიდნენ, მაგრამ სამშობლოში დღემდე არ დაბრუნებულან.

შსს-ს ინფორმაციით, საქართველოში მცხოვრები რუსების რიცხვი, სულ ცოტა, 4-ჯერ მაინც აღემატება უკრაინის აქ მყოფ მოქალაქეთა რაოდენობას, რაც ამ დროისთვის 25 799-ს შეადგენს.

ამირან გურიელიძე

სარგებელი თუ რისკი?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

მთელ მსოფლიოში უფრო და უფრო მეტი ადამიანი ყიდულობს წამლებს, ძირითადად, თვითმკურნალობის მიზნით - სურთ, თავადვე იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე, მაგრამ არსებობს თუ არა რაიმე რისკი, რის შესახებაც უნდა ვიცოდეთ? რასაკვირველია, სათანადოდ გამოყენების შემთხვევაში, მედიკამენტები გვეხმარება, რაც შეეხება თვითმკურნალობას, რთულია იცოდე, სარგებლობა გადაწონის თუ არა რისკს

მრავალი ადამიანი მეგობრებისა და ნათესავების რჩევებს მიჰყვება, ან სამედიცინო ინფორმაციისთვის იმ წიგნებს მიმართავს, რომლებშიც თვითმკურნალობის მეთოდებია მოცემული. გარდა ამისა, სარეკლამო რგოლებიც გვარწმუნებს, რომ „სულ უბრალო კაფსულის მიღებით გამოვჯანმრთელდებით და თავს კარგად ვიგრძნობთ“. ამდენად, დაღლილობის მოსახსნელად, ცუდი კვების შედეგების თავიდან ასაცილებლად თუ უმნიშვნელო ემოციურ პრობლემასთან გამკლავების მიზნით მრავალი მიმართავს წამლებს. და ვინ იცის, სწორად დაუსვეს თუ არა საკუთარ თავს დიაგნოზი?

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, საინტერესოა მეცნიერებათა დოქტორის, ინფექციონისტ **მაია ბუწაშვილის** პოზიცია. ამჯერად იგი ანტიბიოტიკების პარალელურად ე. წ. კუჭის დამცავი და სოკოს საპროფილაქტიკო მედიკამენტების მიღების საკმაოდ გავრცელებულ პრაქტიკაზე საუბრობს.

- ჩვენთან ადამიანები იმაზე ბევრად მეტ მედიკამენტს იღებენ, ვიდრე საჭიროა. მაგალითად, როდესაც ანტიბიოტიკს ვნიშნავ, ხშირად მეკითხებიან, რომელი კუჭის დამცავი უნდა მიიღონ მასთან ერთად, ანუ ეს იმდენად დამკვიდრებული მოსაზრებაა, რომ პაციენტები ავტომატურად მოელიან „კუჭის დამცავის“ დანიშვნას. ჯერ ერთი, რას ვგულისხმობთ „კუჭის დამცავში“? თუ ლაპარაკია ანტაციდებზე, ანუ სიმჟავის გამანეიტრალებელ მედიკამენტებზე, რომლებიც ძირითადად გულძმარვის დროს გამოიყენება, მათი გამოყენების საჭიროება ანტიბიოტიკებთან ერთად აბსოლუტურად არ არსებობს. პირიქით, ზოგიერთი ანტიბიოტიკის მიღება ანტაციდებთან ერთად მიზანშეწონილი საერთოდ არ არის ან ანტიბიოტიკთან ერთად მიღება სპეციალური წესით და შუალედის დაცვით უნდა მოხდეს. თუ ლაპარაკია პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორებზე (ყველაზე ფართოდ ჩვენთან ამ ჯგუფიდან იყენებენ ომეპრაზოლს, ნექსიუმს და სხვ.), მათი დანიშვნა ანტიბიოტიკებთან ერთად, ასევე უსაფუძვლოა (გარდა ჰელიკობაქტერიის მკურნალობისა, რა დროსაც ეს მედიკამენტები ანტიბიოტიკებთან ერთად მკურნალობის სქემაში შედის). მოკლედ, ანტიბიოტიკებთან ერთად პროფილაქტიკის მიზნით არავითარი „კუჭის დამცავები“ არ გვჭირდება, თუ პაციენტს სხვა რაიმე ჩვენებით არ აქვს ეს მედიკამენტები დანიშნული. ვიცი, აუცილებლად გაჩნდება კომენტარები, რომ ექიმებიც ნიშნავენ ამ მიზნით. თუ ეს ასეა, მაინც გავიმეორებ, რომ ეს არ არის სწორი. კიდევ ერთი პრობლემაა ანტიბიოტიკებთან ერთად საპროფილაქტიკოდ სოკოს საწინააღმდეგო (ანტიმიკოზური) წამლების მიღება. ესეც სრულიად გაუმართლებლად დამკვიდრებული პრაქტიკაა. რა თქმა უნდა, კონკრეტულ სიტუაციაში (და ასეთი სიტუაცია არცთუ ისე ხშირია) შეიძლება ექიმმა დანიშნოს სოკოს საწინააღმდეგო მედიკამენტი, მაგრამ ასე რუტინულად, ანტიბიოტიკის მიღებისას აუცილებლად ანტიმიკოზური პრეპარატების დანიშვნა გაუმართლებელი და ზედმეტია. თანაც სოკოს საწინააღმდეგო მედიკამენტები სულაც არ არის ასე „მისაყოლებელი“ და, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი გვერდითი მოვლენები შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ მათ გამოყენებას თავისი ჩვენება აქვს. მოკლედ, თუ ადამიანი ანტიბიოტიკს იღებს, რამდენიმე არასაჭირო მედიკამენტის დაყოლების არასწორი პრაქტიკა და ორგანიზმისთვის დამატებით არასაჭირო მედიკამენტებით დატვირთვა (ფინანსურ ხარჯზე აღარაფერს ვამბობ), ვფიქრობ, სერიოზული პრობლემაა.

უკრაინელებისთვის თანადგომისა და სოლიდარობის გამოსახატავად

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ომის დაწყების დღიდან არაერთი ქვეყანა, ადამიანი, ცდილობს, უკრაინიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას დახმარების ხელი გაუწოდოს. საქართველომ და ქართველმა ხალხმა არაერთი უკრაინელი ოჯახი შეიფარა, სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციამ მრავალგზის დახმარება გაუწია მათ. ერთ-ერთი ადამიანი, რომელიც თანამოაზრეებთან ერთად გამუდმებით დგას ბათუმში მყოფი უკრაინელების გვერდით, პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბათუმში უკრაინის დახმარების ჰუმანიტარული შტაბის ხელმძღვანელი გენო თებიძეა, რომლის ძალისხმევითაც ჩვენს ქალაქში მცხოვრებმა უკრაინელებმა არაერთი სიკეთე მიიღეს.

- ზუსტად 8 თვეა, რაც ჰუმანიტარული დახმარების ცენტრი გაიხსნა აჭარაში. დღემდე ათასობით ადამიანს მივეცით თავშესაფარი, ათასობით ოჯახმა მიიღო პროდუქტებით, მედიკამენტებით, ტანსაცმლით, სამედიცინო, იურიდიული და სხვა სახის დახმარება. გვყავს 18 უკრაინელი ახალშობილი, რომელთა დედებსაც მშობიარობამდე გაეწიათ უფასო კონსულტაციები და უფასოდ მშობიარობის შესაძლებლობა მიეცათ. მადლობა ყველას დახმარებისთვის. უკრაინაში გაიგზავნა 70 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი. შევძელით ასეულობით უკრაინელს დავხმარებოდით სამსახურის პოვნაში. ვეხმარებით ჩვენს ბიჭებს უკრაინაში. ვაკეთებთ იმას, რაც შეგვიძლია და იმასაც, რაც ჩვენს შესაძლებლობებს სცილდება. ეს ყველაფერი შედეგია იმისა, რასაც ჩვენი თანაქალაქელები გასცემენ უანგაროდ, გულით და ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ომი საერთოა, საერთო მტრის წინააღმდეგ და ის უკრაინაში უნდა დასრულდეს ჩვენი ძმების გამარჯვებით. მადლობა ამ გმირ ხალხს ამ ტვირთის საკუთარ თავზე აღებისთვის და მოგიწოდებთ, გააკეთეთ ისე, რომ ხვალ უფრო ლაღად იგრძნოთ თავი - დაეხმარეთ უკრაინას. დიდება გმირებს, დიდება უკრაინას, დიდება საქართველოს! მადლობა ჰუმანიტარული დახმარების თითოეულ მონაწილეს, - განაცხადა გენო თებიძემ.

მიზანი – ანტიკორუფციული ბიუროს შექმნა

ამის შესახებ განცხადება იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა გააკეთა. თუ რატომ არის ეს მნიშვნელოვანი, შეგახსენებთ: ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობის გაძლიერება და ელიტური კორუფციის შემთხვევების გამოძიება ევროკომისიის 12 რეკომენდაციის მე-4 პუნქტი იყო. სწორედ მისი შესრულების მიზნით შეიქმნა იურიდიულ საკითხთა კომიტეტში სამუშაო ჯგუფი, რომელმაც გუშინ შემაჯამებელი სხდომა გამართა და საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა დაასრულა.

ოხანაშვილის თქმით, რეკომენდაციების შესაბამისად, ანტიკორუფციული საქმიანობის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს აინიცირებენ. მანვე აღნიშნა, რომ ჯგუფის სამუშაო პროცესი ღიად და გამჭვირვალედ წარიმართა და მასში როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ ჩართულები.

„ჩვენ შესაბამის პოზიციებს გავუკეთეთ ანალიზი და შედეგად დღეს ანტიკორუფციული ღონისძიებების გაძლიერებასთან დაკავშირებით კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებები წარვადგინეთ“, - თქვა ოხანაშვილმა და დასძინა, რომ ცვლილებებს პარლამენტი პირველ დეკემბრამდე მიიღებს, „როგორც ეს გეგმაში იყო გაწერილი“.

ანრი ოხანაშვილის თქმით, შექმნიან ანტიკორუფციულ ბიუროს, რომლის ძირითადი ამოცანა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობაა. ბიურო კოორდინაციას გაუწევს სათანადო ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების საქმიანობას და ის ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტისა და უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე.

კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, ბიუროს უფროსის კანდიდატურები ღია კონკურსით, „გამჭვირვალე პროცედურების დაცვით“ შეირჩევა და პრემიერ-მინისტრს წარედგინება, რომელიც შეარჩევს და თანამდებობაზე დანიშნავს ბიუროს უფროსს.

ამირან გურიელიძე

სპორტი

ლა ლიგამ მამარდაშვილი გამოარჩია

ლა ლიგის გასულ ტურში „ვალენსიამ“ „მალიორკას“ უმასპინძლა და 1:2 დამარცხდა. მიუხედავად გაშვებული ორი გოლისა, გიორგი მამარდაშვილმა კარგი მატჩი ჩაატარა და ერთ-ერთ ეპიზოდში საკმაოდ რთული ბურთი მოიგერია.

ყოველი ტურის დასრულების შემდეგ, ლა ლიგის ოფიციალური Youtube არხი ტურის ტოპ-5 მოგერიებას გვთავაზობს. სასიხარულოა, რომ მე-11 ტურის 5 საუკეთესო „სეივში“ ქართველი მეკარეც მოხვდა.

შეგახსენებთ: „ელჩესთან“ დაშვებული შეცდომის შემდეგ, „მამარდამ“ ორი ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა. „მალიორკამდე“ 1 ტურით ადრე „ვალენსია“ „სევილიას“ ესტუმრა.

ქართველმა კარის დარაჯმა ანდალუსიური კლუბის წინააღმდეგ სამი ურთულესი ბურთი მოიგერია და რეალურად სწორედ გიორგის დამსახურებაა, რომ „ღამურებმა“ „სევილიასთან“ ქულა აიღეს.

ამირან გურიელიძე

გოჩოლეიშვილით... „იუვენტუსი“ დაინტერესდა (?)

„საბურთალოს“ 21 წლის ფეხბურთელი გიორგი გოჩოლეიშვილი უცხოური კლუბების რადარზე იმყოფება. ესპანური გამოცემები მას „ვალენსიას“ უკავშირებდნენ, მაგრამ ორი დღის წინ ტურინის „იუვენტუსის“ ვარიანტიც გაჟღერდა.

„ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, „ვალენსიის“ მეკარე გიორგი მამარდაშვილის გარდა, „იუვენტუსი“ გიორგი გოჩოლეიშვილს აკვირდება. ახალგაზრდა ქართველი ფლანგის მცველი „საბურთალოს“ რიგებში თამაშობს, სადაც ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია და შესაძლოა, ტურინში ერთი მილიონი ევროს სანაცვლოდ გადმოვიდეს. გოჩოლეიშვილი „ვალენსიასაც“ მოსწონს და მისი ტრანსფერი ნებისმიერი კლუბისთვის შესანიშნავი გარიგება იქნება“, - წერს TuttoJuve.com-ი.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

R
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რედ. ლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 26/10/22, 22 20 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

თეატრის საჩუქარი – აჭარის მუნიციპალიტეტებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

სასიამოვნო სიახლე დააანონსა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრმა. როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გვითხრა, ისინი ხულოს, ქედასა და ხელვაჩაურს სპექტაკლით „საიდანაც მზე მოდიოდა“ ეწვევიან და უფასო ჩვენებებს გამართავენ

- ჩვენი მიზანია, თეატრი მივიდეს თითოეულ ადამიანთან, ბავშვთან, რათა მათ უფრო ახლოს შეიგრძნონ მისი ძალა და საჭიროება. მომავალშიც არაერთ ბავშვსა თუ მოზარდს გავახარებთ, - გვითხრა ირაკლი კიკვაძემ.

- აღსანიშნავია, რომ რეჟისორ ელენე მაცხონაშვილის საავტორო სპექტაკლი, რომელიც მოზარდ მაყურებელზეა გათვლილი, ახალგაზრდა წყვილის თანაცხოვრებაზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მათ მოგზაურობაზე მოგვითხრობს და იმ ტრაგიკულ მოვლენებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიაში მოხდა. სპექტაკლები გაიმართება 26 ოქტომბერს 15 საათზე - ხულოს პროფესიულ სახელმწიფო დრამატული თეატრში, 2 ნოემბერს 16 საათზე - ხელვაჩაურის კულტურის ცენტრში, 8 ნოემბერს 15 საათზე - ქედის კულტურის ცენტრში. მაყურებელს წინ დიდი სიამოვნება ელის.

პოეტის ახალი წიგნი – ხულოს ბიბლიოთეკას

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

გურამ გორდეზიანის ურთიერთობები აჭარის მთიანეთთან საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალ „ზე-კართან“ მეშვიდეობით დაიწყო. ამბროლაურელმა პოეტმა აქ გაიცნო პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე

სამი წელია, გურამი მთიან აჭარას გამორჩეულად ეფერება, რაც მის შემოქმედებაშიც აისახა. ახლად გამოცემული მისი ლექსების კრებულის რამდენიმე ეგზემპლარმა ამ დღეებში ხულოს ბიბლიოთეკაში დაიდო ბინა.

- მთიან აჭარას, კერძოდ, ხულოს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას ჩემი ლექსების მეშვიდე კრებული „სივრცე“ შეემატა. წიგნები ბიბლიოთეკისთვის პირადად შეიძინა მთიანი აჭარის მაჟორიტარმა დეპუტატმა საქართველოს პარლამენტში, ბატონმა ანზორ ბოლქვაძემ. მსურს, ჩემი შემოქმედების მიმართ გამოჩენილი ნდობისათვის მადლობა გადავუხადო მას. ბატონი ანზორი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება კულტურასა და ხელოვნებასთან, ლიტერატურასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რისთვისაც უზომოდ მადლიერი ვარ მისი, ასევე, ყველა იმ ადამიანის, ვინც საშუალება მომცა, ჩემი ქვეყნის ეს ულამაზესი კუთხე გამეცნო. მადლობას ვუხდი ხულოს კულტურის სფეროს მესვეურებს, ბატონ ჯუმბერ აბაშიძეს, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო განყოფილების გამგე ლია ბოლქვაძეს, საბიბლიოთეკო სფეროს თითოეულ თანამშრომელს, რომელთა უდიდესი პროფესიონალიზმი საშუალებას მისცემს მკითხველს, ისე შეიყვარონ ჩემი ლექსები, როგორც მე მიყვარს აჭარა! - გვითხრა გურამ გორდეზიანმა.

კეთილ საქმეს ეზიარნენ

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის განყოფილებაში (კოორდინატორი - მაიკო ჯაფარიძე) სხვადასხვა კლუბია გაერთიანებული. ერთ-ერთია გარემოს ნორჩ დამცველთა კლუბი „ცისნამი“, რომელსაც მზია რუხაძე ხელმძღვანელობს. კლუბის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და აჭარის სატყეო სააგენტოსთან, რომელთა მხარდაჭერითაც ბავშვები სისტემატურად მონაწილეობენ ხის დარგვის აქციაში, როგორიცაა „მეტყევის დღე“, „ხის დარგვის საერთაშორისო დღე“...

წელსაც, „ხის დარგვის საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით, მოსწავლეები, ტრადიციულად, თიკერის სანერგე მეურნეობას ეწვივნენ და მის ტერიტორიაზე 200-მდე ფიჭვის ნერგი დარგეს.

- ძირითადად, წიწვოვანი ხეები ირგვება. ამ აქციამ დიდი სიხარული გამოიწვია იმ ბავშვებში, ვინც სულ ახლახან გახდნენ ჩვენი კლუბის წევრები. მათ ნახეს წინა თაობის მიერ 5-8 წლის წინ დარგული ხეები, რომლებიც ახლა საკმაოდ დიდია. თავადაც დაამახსოვრეს მათ მიერ დარგული ხეების ადგილსამყოფელი, რათა მომავალში მათი ზრდითაც გაიხარონ. თითო აქციაზე 200-დან 400-მდე ნერგს ვრგავთ ტყის მცველებთან („რეინჯერებთან“) ერთად, საერთოდ ამ აქციებს სწორედ მათთან ერთად ვახორციელებთ. ხეები არა მხოლოდ თიკერის ტყეში ირგვება, აქლემგორაზეც დაირგო, ფაქტობრივად, ყველგან, სადაც ეროზიული პროცესები მიმდინარეობს და სადაც ამ დარგის სპეციალისტები ხეებს მუდმივად რგავენ - ასე ხდება ტყეების განახლება. ჩვენი კლუბის წევრები ყველაფერს აჭარის სატყეო სააგენტოსთან შეთანხმებით აკეთებენ, - გვითხრა მაია ჯაფარიძემ.

მოგებული გრანტით შეძენილი როიალი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის რევაზ ლაღიძის სახელობის მუსიკალური სკოლა 1976 წელს დაარსდა. ამჟამინდელმა დირექტორმა ნატო ორაგველიძემ აწ გარდაცვლილი ყოფილი ხელმძღვანელი სულიკო გიორგაძე 2005 წლიდან შეცვალა. ამ ხნის განმავლობაში სკოლამ არაერთ წარმატებას მიაღწია

მომავალი ლაურეატებისა და წარმატებული მოსწავლეების აღზრდას, მოზარდებისათვის მუსიკის ჰანგების შეყვარებას 96 პედაგოგი ემსახურება, სკოლაში ამჟამად 670 მოსწავლე სწავლობს. აქ ყველა მუსიკალური მიმართულებით სწავლობენ ბავშვები, მათ შორის საორკესტრო (ყველა ინსტრუმენტი), ვოკალურ და საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებებზე.

სამუსიკო სკოლაში ძალიან ბევრი წარმატებული მოსწავლე აღიზარდა. ახლაც ასეთი არაერთი სწავლობს, მათ შორის არიან ანრი კაკაბაძე, ბაჩი მიქელაძე, ელენე დარჩია, ბარბარე ვადაჭკორია, დათა ძნელაძე, დიანა ფალავანდიშვილი, გიორგი გორჯელაძე, ანეტი ქედელიძე, მარიამ პაპუნიძე, ნიკოლოზ მათარაძე, ალეკო ქედელიძე, ლიზი სურმანიძე, მარია ზაქარაბადი, არმან გაზარიანი... სკოლაში უფროსი და უმცროსი თაობის გოგონათა ორი არაჩვეულებრივი გუნდია (ქორმაისტერი - მაგდა მათითაიშვილი). სკოლის გოგონათა გუნდი ჩამოყალიბების დღიდან უკვე 13 გრან პრის მფლობელია. მეორე წელია ბიჭუნათა გუნდიც ჩამოყალიბდა (დირიჟორი - გელა ვადაჭკორია), რომელმაც პირველი გრან პრი უკვე მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ წელს სკოლის საკონცერტო დარბაზს ახალი როიალი შეემატა. როგორც სკოლის დირექტორმა და ფორტეპიანოს პედაგოგმა ნატო ორაგველიძემ გვითხრა, წელს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ გამოაცხადა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენაში ხელშეწყობას. სკოლამ აღნიშნულ პროექტში გაიმარჯვა და მის ფარგლებში სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხით შეიძინეს როიალი.

- ჩვენ სკოლას როიალი ჰქონდა, მაგრამ დიდი ხნის ამორტიზებულია და განახლებას საჭიროებდა. იცით, რომ სასწავლებელს არაერთი წარმატებული მოსწავლე ჰყავს და ისინი ყოველწლიურად ძალიან ბევრ კონკურსში მონაწილეობენ. მუშაობის პროცესში მუსიკალური ინსტრუმენტის ბგერის ხარისხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ თავად შევარჩიეთ და მოგებული თანხით თბილისში საკმაოდ კარგი როიალი - „პეტროფი“ შევიძინეთ, რომელიც დიდხანს მოგვემსახურება და არაერთ ნიჭიერ თაობას აღზრდის, - გვითხრა ნატო ორაგველიძემ.

- ეს სკოლა ჩვენს ქალაქში წარმატებული პედაგოგებითა და მოსწავლეებით ერთ-ერთი გამორჩეულია, რომლებმაც არაერთხელ გვასახელეს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, არამედ არაერთ საერთაშორისო კონკურსზე. მათი მონაწილეობა ამა თუ იმ კონკურსში ყოველთვის წარმატებით გვირგვინდება. ეს მოგებული გრანტიც მათ წარმატებებს კიდევ უფრო გაზრდის, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თამარ გუდავამ.

ახალი როიალის შეძენასთან დაკავშირებით სასწავლებელში წარმატებული მოსწავლეების კონცერტი გაიმართა, უფრო სწორად, როიალის პრეზენტაცია შედგა, რომელშიც პედაგოგების - ნატო ორაგველიძის, თინათინ ლორთქიფანიძის, ნინო მაჭარაძის, ნარინე გაზარიანის აღზრდილები მონაწილეობდნენ. მათ ძალიან დიდი სიამოვნება მიანიჭეს მსმენელებს.